

(სსმ III, 19.03.2010 N 30 მუხ. 442)

რეგისტრირებულია
საქართველოს იუსტიციის
სამინისტროში
რეგისტრაციის ნომერი
220.010.040.18.011.014.358

**საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის
ბრძანება N 42/01**

2010 წლის 17 მარტი ქ. თბილისი

**საქართველოს ეროვნული ბანკის ერთდღიანი სესხებისა და
ერთდღიანი დეპოზიტების შესახებ დებულების დამტკიცების
თაობაზე**

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 31-ე მუხლისა და 67-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად, ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ხელშეწყობის მიზნით, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ**

1. დამტკიცდეს საქართველოს ეროვნული ბანკის ერთდღიანი სესხებისა და ერთდღიანი დეპოზიტების შესახებ თანდართული დებულება.

2. ამ ბრძანების დაუყოვნებლივ ამოქმედება განპირობებულია ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ამოცანებიდან გამომდინარე, საბანკო სისტემაში ლიკვიდობის მართვისა და საპროცენტო განაკვეთების რეგულირების მიზნით.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

ა) საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2003 წლის 27 იანვრის N 19 ბრძანება „საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სადეპოზიტო ოპერაციების წარმოების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“.

ბ) საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2003 წლის 26 მარტის N 70 ბრძანება „საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკებისათვის ერთდღიანი კრედიტების გაცემის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“.

4. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

გ. ქადაგიძე

დებულება
საქართველოს ეროვნული ბანკის ერთდღიანი სესხებისა და ერთდღიანი
დეპოზიტების შესახებ

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს დებულება განსაზღვრავს საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდგომში ეროვნული ბანკის) მიერ კომერციული ბანკებისათვის ერთდღიანი სესხის გაცემისა და ერთდღიანი დეპოზიტის მიღების წესებს „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად.

2. ერთდღიანი სესხი და ერთდღიანი დეპოზიტი წარმოადგენს ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მუდმივმოქმედ ინსტრუმენტს, რომლის მეშვეობითაც ეროვნული ბანკი ახორციელებს ბანკებისათვის ფულადი რესურსის მიწოდებასა და ამოღებას.

3. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ამოცანებიდან გამომდინარე, საბანკო სისტემაში ლიკვიდობის მართვისა და საპროცენტო განაკვეთების რეგულირების მიზნით, ერთდღიანი სესხის გაცემას და ერთდღიანი დეპოზიტის მიღებას ეროვნული ბანკი აწარმოებს ეროვნული ვალუტით.

4. ერთდღიანი სესხის გაცემისა და ერთდღიანი დეპოზიტის მიღების ოპერაციებს ეროვნული ბანკი აწარმოებს საქართველოში მოქმედ რეზიდენტ კომერციულ ბანკებთან და არარეზიდენტი ბანკების ფილიალებთან (შემდგომში ბანკები), რომელთაც ანგარიში აქვთ გახსნილი ეროვნულ ბანკში.

მუხლი 2. ერთდღიანი სესხის პირობები

1. ეროვნული ბანკი ბანკებთან აფორმებს ხელშეკრულებას ბანკების მფლობელობაში არსებული ფასიანი ქაღალდების და/ან სხვა ნებადართული აქტივების მონეტარული ოპერაციების უზრუნველყოფის პორტფელში გადაცემისა და მისი ეროვნული ბანკის მიერ გაცემული სესხების უზრუნველსაყოფად გამოყენების შესახებ.

2. ერთდღიანი სესხის უზრუნველსაყოფად შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ:

ა) საქართველოს მთავრობის და/ან საქართველოს ეროვნული ბანკის ის ფასიანი ქაღალდები, რომლებიც ბანკის მიერ მოთავსებულია მონეტარული ოპერაციების უზრუნველყოფის პორტფელში;

ბ) „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31-ე და მე-40 მუხლით გათვალისწინებული სხვა აქტივები, რომლის გამოყენებაც ერთდღიანი სესხებისათვის ნებადართულია ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის გადაწყვეტილებით.

3. მონეტარული ოპერაციების უზრუნველყოფის პორტფელში ერთდღიანი სესხის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ფასიანი ქაღალდების დაფარვის ვადა მინიმუმ ორი საბანკო დღით უნდა აღემატებოდეს ერთდღიანი სესხის დაფარვის ვადას და ისინი არ უნდა გამოიყენებოდნენ სხვა ვალდებულებების

უზრუნველყოფად, გარდა ამავე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

4. ბანკს ახალი სესხის აღება შეუძლია ეროვნული ბანკისაგან უკვე აღებული სესხის დასაფარად, იმავე უზრუნველყოფის გამოყენებით. ასეთ შემთხვევაში ბანკის საკორესპოდენტო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვისთანავე ამ თანხით დაიფარება არსებული სესხი.

5. ბანკის მიერ მოთხოვნილი ერთდღიანი სესხის მოცულობა შესაბამისობაში უნდა იყოს ბანკის მონეტარული ოპერაციების უზრუნველყოფის პორტფელში არსებულ აქტივებთან.

6. ერთდღიანი სესხის შესახებ ეროვნული ბანკი წინასწარ ადგენს და აქვეყნებს ბანკებისათვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის საშუალებებით:

ა) ერთდღიანი სესხის საპროცენტო განაკვეთს;

ბ) ერთდღიანი სესხისა და მასზე დარიცხული პროცენტის თანაფარდობას ერთდღიანი სესხის უზრუნველყოფასთან.

7. განსაკუთრებულ შემთხვევაში ეროვნული ბანკი უფლებამოსილია დაადგინოს ცალკეულ ბანკზე ინდივიდუალური, ან ყველა ბანკზე ერთად გასაცემი ერთდღიანი სესხის ლიმიტი, რის შესახებ ინფორმაცია ბანკებს მიეწოდებათ ლიმიტის ძალაში შესვლამდე სულ მცირე ერთი საბანკო დღით ადრე.

8. ბანკის მიერ ზედიზედ ხუთჯერ ან მეტჯერ ერთდღიანი სესხის გამოყენების შემთხვევაში, ეროვნულ ბანკს უფლება აქვს უარი უთხრას ბანკს ერთდღიანი სესხის გაცემაზე.

მუხლი 3. ერთდღიანი სესხის აღებისა და დაფარვის წესი

1. ეროვნული ბანკი ერთდღიან სესხს გასცემს ბანკის სასესხო განაცხადის საფუძველზე.

2. სასესხო განაცხადის გაგზავნით ბანკი ადასტურებს ერთდღიანი სესხის აღების გადაწყვეტილებას და ამ დებულებით დადგენილი წესების შესრულების ვალდებულებას.

3. ერთდღიანი სესხის ასაღებად ბანკი აგზავნის შეტყობინებას – სესხის განაცხადს ეროვნულ ბანკში, SWIFT-ის ავტორიზებული შეტყობინების სახით ან ბლუმბერგის სავაჭრო სისტემის მეშვეობით სესხის გაცემის დღეს, არაუგვიანეს 16 საათისა.

4. ერთდღიანი სესხის განაცხადში ბანკმა უნდა მიუთითოს შემდეგი აუცილებელი ინფორმაცია:

ა) ერთდღიანი სესხის აღების თარიღი;

ბ) ერთდღიანი სესხის მოცულობა;

გ) ერთდღიანი სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთი;

დ) ერთდღიანი სესხის უზრუნველყოფის სახეობა.

5. ეროვნული ბანკი არ განიხილავს ისეთ განაცხადს, რომელიც დადგენილ დროზე გვიან არის წარდგენილი, ან არ შეიცავს ყველა დადგენილ ინფორმაციას, ან შეიცავს არაზუსტ ინფორმაციას, ან თუ ბანკს არა აქვს მოთხოვნილი ერთდღიანი

სესხისათვის საკმარისი უზრუნველყოფა.

6. ერთდღიანი სესხის განაცხადის სრულყოფილად წარდგენის შემთხვევაში, იმავე დღეს საანგარიშსწორებო დღის დახურვამდე, ეროვნული ბანკი ერთდღიანი სესხის თანხას ჩარიცხავს ბანკის საკორესპოდენტო ანგარიშზე ეროვნულ ბანკში.

7. განსაკუთრებულ შემთხვევებში ეროვნულ ბანკი უფლებამოსილია ბანკს უარი უთხრას ერთდღიანი სესხის გაცემაზე მიზეზის მითითების გარეშე, რის შესახებაც აცნობებს SWIFT-ით ან ბლუმბერგის სავაჭრო სისტემის მეშვეობით.

8. ერთდღიანი სესხის ძირითადი თანხისა და დარიცხული პროცენტის დაფარვის ოპერაციებს ახორციელებს ეროვნული ბანკი უაქცეპტოდ, ბანკის საკორესპოდენტო ანგარიშზე არსებული ნაშთიდან, სესხის დაფარვის დღეს, საანგარიშსწორებო დღის დახურვამდე.

9. ერთდღიანი სესხის ძირითადი თანხისა და დარიცხული პროცენტის საანგარიშსწორებო დღის დახურვის მომენტისათვის დაუფარაობის შემთხვევაში, ბანკს დაერიცხება სესხის სრული თანხის 0.5 პროცენტი.

10. ერთდღიანი სესხის დაფარვის ვალდებულების დადგომიდან მომდევნო საბანკო დღეს ძირითადი თანხისა და დარიცხული პროცენტის დაუფარაობის შემთხვევაში, ეროვნული ბანკი სესხის უზრუნველყოფაში მყოფ ფასიან ქაღალდებს გადაიტანს თავის მფლობელობაში და გაასხვისებს მის მიერ დადგენილი წესით.

11. იმ შემთხვევაში თუ გასხვისების შედეგად მიღებული თანხა აღემატება ბანკის დავალიანებას, ნამეტი თანხა დაუბრუნდება ბანკს.

12. თუ მიღებული თანხა არასაკმარისი აღმოჩნდა სესხისა და დარიცხული პროცენტის დასაფარად, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია დაიკმაყოფილოს მოთხოვნა „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული წესით.

მუხლი 4. ერთდღიანი დეპოზიტის განთავსების წესი

1. ეროვნული ბანკი განსაზღვრავს ერთდღიანი დეპოზიტის საპროცენტო განაკვეთს და აქვეყნებს ბანკებისათვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის საშუალებებით.

2. ერთდღიან დეპოზიტზე საპროცენტო განაკვეთის ცვლილების შესახებ ეროვნული ბანკი ბანკებს აცნობებს ახალი განაკვეთის ძალაში შესვლამდე სულ მცირე ერთი სამუშაო საბანკო დღით ადრე.

3. ეროვნული ბანკი თითოეულ ბანკს უხსნის ერთდღიანი დეპოზიტის ანგარიშს და წინასწარ აცნობებს ბანკს.

4. ერთდღიანი დეპოზიტის ეროვნულ ბანკში განთავსება ბანკს შეუძლია წინასწარი შეტყობინების გარეშე ყოველ სამუშაო საბანკო დღეს, საანგარიშსწორებო დღის დახურვამდე.

5. ეროვნულ ბანკში განსათავსებელ ერთდღიანი დეპოზიტის თანხის ოდენობას განსაზღვრავს ბანკი.

6. ერთდღიანი დეპოზიტის ეროვნულ ბანკში განთავსებისათვის, შესაბამისი საგადახდო დავალებით რეალურ დროში ანგარიშსწორების სისტემის მეშვეობით

ბანკმა თანხა უნდა გადარიცხოს ეროვნულ ბანკში თავის ერთდღიანი დეპოზიტის ანგარიშზე.

7. მომდევნო სამუშაო საბანკო დღეს, საოპერაციო დღის გახსნისთანავე, ერთდღიანი დეპოზიტის ძირითად თანხას და მასზე დარიცხულ პროცენტს ეროვნული ბანკი ჩარიცხავს ბანკის საკორესპოდენტო ანგარიშზე ეროვნულ ბანკში.